შპს „კლაბ ჰაუზი“, ს/კ:204527173 (შემდგომში - კომპანია)

პარტნიორთა გადაწყვეტილება

თარიღი: 16/04/2019

კრებას ესწრებოდნენ პარტნიორები:

- ზურაბ წულაია, (პ/ნ: 01017012832), მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ადამ მიცკევიჩის ქუჩა, N 50, ბინა 13, – **წილთა 50%**
- ივეტა გიორგაძე, (პ/ნ: 60001006467), მისამართი: საქართველო, ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 22, ბინა 25 – **წილთა 25%**
- ნოდარ ფირცხელავა, (პ/ნ: 01010011160), მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, III მიკრო/რაიონი, კვარტალი II, კორპუსი 5, ბინა 67 – **წილთა 25%**

კრების თავჯდომარე

- ნოდარ ფირცხელავა, (პ/ნ: 01010011160)

კრების მდივანი

- ივეტა გიორგაძე, (პ/ნ: 60001006467)

გადაწყვეტილებები:

1. კომპანიის პარტნიორები თანახმანი არიან, კომპანიის დირექტორმა ზურაბ წულაიამ (პ/ნ: 01017012832) განახორციელოს (ან გასცეს მინდობილობა ამ საქმიანობის შესრულებაზე) ქ. თბილისი არქიტექტურის სამსახურში კომპანიის მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებაზე ს/კ 01.18.003.071.004 რეკონსტრუქციის პროექტის წარდგენა;

ხელმოწერები:

ივეტა გიორგაძე, პ/ნ: 60001006467 - /ივეტა გიორგაძე/

ნოდარ ფირცხელავა, პ/ნ: 01010011160 - /ნოდარ ფირცხელავა/

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190415443
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	16.04.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ელენე ყიზილაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, მ. კოსტავას ქ. 23
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	995322995210; 99590411423
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	86325228182619

ორი ათას ცხრამეტი წლის თექვსმეტ აპრილს მე, ნოტარიუსმა ელენე ყიზილაშვილმა, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. №23, სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირების: ივეტა გიორგაძის (დაბ. 16 აპრილი 1979 წ. ქუთაისში; პ/ნ: 60001006467, მისამართი: საქართველო, ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 22, ბინა 25) და ნოდარ ფირცხელავას (დაბ. 27 თებერვალი 1950 წ. ჩხოროწყუში; პ/ნ: 01010011160, მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, III მიკრო/რაიონი, კვარტალი II, კორპუსი 5, ბინა 67) თხოვნით, სანოტარო წესით დავამოწმე მათი ხელმოწერების ნამდვილობა მათ მიერ წარმოდგენილ ორ ეგზემპლიარად შედგენილ შპს „კლაბ ჰაუზი“, ს/კ:204527173 პარტნიორთა გადაწყვეტილებაზე, თითოეულზე ერთ გვერდზე.

მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე მათ განვუმარტე, რომ ნოტარიუსი პასუხს არ აგებს წარმოდგენილი გადაწყვეტილების შინაარსზე და მის სამართლებრივ შედეგებზე, მათ განაცხადეს, რომ მათთვის ცნობილია აღნიშნულის შესახებ და დამიდასტურეს, რომ ნამდვილად სურთ წარმოდგენილ გადაწყვეტილებაზე მხოლოდ თავიანთი ხელმოწერების ნამდვილობის დამოწმება სანოტარო წესით, რის შემდეგაც წინამდებარე გადაწყვეტილების ორ ეგზემპლიარზე ხელმოწერები შესრულდა ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად ხელმომწერების მიერ.

გადახდილია: სანოტარო მომსახურების საზღაური: 08,00 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011წ.) 31-ე მუხლის. დღგ - 01.44 ლარი. თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე. რეგისტრაციის საფასური – 2.00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), თანახმად აღნიშნული დადგენილების (29.12.2011წ.) 39-ე მუხლის. სულ გადახდილია: 11.44 ლარი (თერთმეტი ლარი და ორმოცდაოთხი თეთრი).

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

